

EUDIGITOOL

მითითებები პროექტის აქტივობებისა და ბენეფიციარების სექციის შესახებ

EUDigitool-ზე პროექტების შესახებ ინფორმაციის ძირითადი ნაწილი თავმოყრილია სექციაში „აქტივობები და ბენეფიციარები“ (AB). მოცემული სექციის შევსებისთვის საჭიროა იცოდეთ, რა მიზანს ემსახურება ის. ქვემოთ მოცემული ინსტრუქცია შედგება ოთხი მარტივი ნაბიჯისგან. დამატებითი კითხვების შემთხვევაში მიმართეთ თქვენი პროექტის საკონტაქტო პირს (ანუ, EUDigitool Reviewer-ს), ან ევროკავშირის დელეგაციის კომუნიკაციების გუნდს.

მიზანი: რა გვინდა?

ვებ-გვერდი EU4Georgia.ge საქართველოში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას ემსახურება. გვერდზე მოცემულია რუკა, რომელიც ასახავს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების კონკრეტულ ზეგავლენას/უშუალო შედეგებს. მისი მიზანია:

- გაზარდოს ცნობადობა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული, ანუ თქვენი პროექტების შესახებ;
- ვებსაიტზე განათავსოს ინფორმაცია პროექტის ზეგავლენის შესახებ, რომელიც მარტივად აღსაქმელი და გასაგები იქნება ფართო საზოგადოებისთვის.

EU4Georgia.ge ვებგვერდი ინფორმაციას EUDigitool-დან იღებს. ვებ-გვერდზე ავტომატურად აისახება EUDigitool-ში მოცემული პროექტის აღწერა (მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების ჩათვლით, ინფორმაცია აქტივობებისა და ბენეფიციარების შესახებ და ატვირთული ფოტომასალა. აქ არ იგულისხმება პირადი და სენსიტიური ინფორმაცია).

მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ EUDigitool არ არის ანგარიშების/ანგარიშების წარდგენის მექანიზმი და შესაბამისად, პროექტის ანგარიშებიდან ტექნიკური ხასიათის ინფორმაციის სიტყვა-სიტყვით გადატანა საჭირო არ არის. EUDigitool კომუნიკაციის ინსტრუმენტი. შესაბამისად, აქ შეტანილი ინფორმაცია და განსაკუთრებით „აქტივობები და ბენეფიციარები“ იოლად გასაგები უნდა იყოს იმ ადამიანებისთვისაც კი, ვინც არ იცის ევროკავშირის მიერ საქართველოში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

პროცესი

ნაბიჯი 1: განსაზღვრეთ „აქტივობები და ბენეფიციარები“

ამ ნაწილში უნდა აისახოს თქვენი პროექტის ხელშესახები და ხილული, გრძელვადიანი/ფართო ზეგავლენა(ები). ზოგ შემთხვევაში, საჭიროა აღინიშნოს, რომ პროექტი ხორციელდება ევროკავშირის მხარდაჭერით. ინფორმაცია აქტივობებისა და ბენეფიციარების შესახებ, სავარაუდოდ, უკვე რაიმე სახით ასახულია პროექტის სხვადასხვა დოკუმენტაციაში და შესაძლებელია მათი დაკავშირება პროექტით განსაზღვრულ მოსალოდნელ შედეგებთან.

ვინაიდან პროექტები განსხვავდება მოდალობებისა და თემატური სფეროების მიხედვით, შესაბამისად შეიძლება განსხვავდებოდეს აქტივობები და ბენეფიციარებიც. ქვემოთ მოცემულია ჩამონათვალი, რომელიც ერთგვარ წარმოდგენას შეგიქმნით, თუ რა ტიპის აქტივობები და ბენეფიციარებია დამახასიათებელი სხვადასხვა ტიპის პროექტებისთვის. ეს ჩამონათვალი შეგიძლიათ სანყის ინსტრუქციად გამოიყენოთ და დაამატოთ ის სპეციფიკური აქტივობები და ბენეფიციარები, რომელიც კონკრეტულად თქვენს პროექტს აქვს:

პროექტი	სტანდარტული აქტივობები და ბენეფიციარები
ტვინინგის (ინსტიტუციური დაძმობილების) პროექტები	- ძირითადი ბენეფიციარი დაწესებულება

<p>(როგორც წესი, ასეთი პროექტები მმართველობის, ეკონომიკური განვითარების, განათლების და კავშირების სფეროებში გვხვდება)</p>	<ul style="list-style-type: none"> - ძირითადი ბენეფიციარის შესაძლებლობების განვითარებაზე მიმართული აქტივობა/კომპონენტი - კანონმდებლობის ჰარმონიზაცია/კანონმდებლობის შექმნა / კონკრეტული სფეროს რეგულირების მხარდაჭერა
<p>ტექნიკური დახმარების პროექტები (უმეტესწილად ხორციელდება ძირითადი რეფორმების მხარდაჭერის მიზნით)</p>	<ul style="list-style-type: none"> - ბენეფიციარი დანესებულებები (ძირითადად სამინისტროები, სახელმწიფო უწყებები, სააგენტოები) - ბენეფიციარების შესაძლებლობების განვითარებაზე მიმართული აქტივობა/კომპონენტი - ცნობიერების ამაღლება
<p>საგრანტო პროექტები (ძირითადად სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისთვის)</p>	<ul style="list-style-type: none"> - გრანტის მიმღებები (მაგალითად, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სათემო ჯგუფები) - სათემო ცენტრები - ადვოკატირება - პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი - ფართომასშტაბიანი (მთელს ქვეყანაში განხორციელებული) კამპანიები
<p>სოფლის მეურნეობის (ENPARD) პროექტები</p>	<ul style="list-style-type: none"> - ადგილობრივი განვითარების ჯგუფები (LAG) - სოფლის განვითარების გრანტის მიმღებები - სადემონსტრაციო ნაკვეთების მონაცემთა - ადგილობრივი ფერმერების მხარდაჭერა

შენიშვნა: „აქტივობებისა და ბენეფიციარების“ სექციაში განსათავსებელი ინფორმაციის კონკრეტული მაგალითები მოცემულია დანართში 1.


ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობები და ღონისძიებები **არ გამოდგება** „აქტივობებისა და ბენეფიციარების“ სექციისთვის:

- სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები
- პროექტის დანების შეხვედრები ან მსგავსი ღონისძიებები
- სხვა დახურული ტიპის შეხვედრები და ღონისძიებები
- მონაწილეობა ევროპის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში
- დახურული ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები
- სასწავლო ვიზიტები
- საგრანტო კონკურსები
- დაბეჭდილი მასალა, მაგალითად, წიგნები, კვლევის ანგარიშები
- საჭიროებების შეფასება
- სხვა.

ნაბიჯი 2: შექმენით „აქტივობებისა და ბენეფიციარების“ ჩანაწერი

მას შემდეგ, რაც გამოავლენთ კონკრეტულ აქტივობასა თუ ბენეფიციარს, ეს ინფორმაცია უნდა დაუმატოთ თქვენი პროექტის გვერდს.

ამის გაკეთება ორი გზითაა შესაძლებელი: შეგიძლიათ შეხვიდეთ თქვენი პროექტის გვერდზე და ქვემოთ იპოვოთ „Activities & Beneficiaries“ სექცია, ან მთავარი მენიურადნ პირდაპირ შეხვიდეთ „Activities & Beneficiaries“ სექციაში, ჩამოშალთ მთავარი მენიუ და აირჩიოთ ახალი ჩანაწერის დამატების ვარიანტი.



მას შემდეგ, რაც დაამატებთ ახალ ჩანაწერს, თითოეულ „აქტივობებსა და ბენეფიციარს“ ექნება საკუთარი გვერდი. ინფორმაცია სწორედ აქ ივსება. იდეალურ შემთხვევაში უნდა შეივსოს ქვემოთ აღწერილი ყველა ველი (თუმცა, არის გამონაკლისი შემთხვევები, როცა ეს შეუძლებელია კონკრეტული პროექტის / აქტივობის სპეციფიკიდან გამომდინარე):

მოქმედება	განმარტება
AB-ის სახელწოდება	<ul style="list-style-type: none"> - ინგლისურად და ქართულად. - მოკლე და იოლად გასაგები.
AB-ის აღწერა	<ul style="list-style-type: none"> - ინგლისურ და ქართულ ენებზე. - ნათლად, მარტივი ენით და მოკლედ ახსენით აქტივობა და რაც უფრო მნიშვნელოვანია, აღწერეთ მისი საბოლოო ბენეფიციარები. განმარტეთ <u>რა კეთდება</u>, <u>ვისთვის</u> და <u>რატომ არის ეს მნიშვნელოვანი</u>. ტექსტი გასაგები უნდა იყოს ყველასთვის, მათ შორის მათთვის, ვინც არ იცნობს თქვენს პროექტს ან სექტორს. შეეცადეთ მიუთითოთ <u>ვადები/პერიოდი</u> და განმარტეთ ყველა შემოკლება/აბრევიატურა. - მოაქციეთ აქტივობებისა და ბენეფიციარების აღწერა ევროკავშირის მხარდაჭერის ზოგად კონტექსტში და აღწერეთ თქვენი პროექტის კონკრეტული წვლილი ამ პროცესში. - დაიმასსოვრეთ: ინფორმაცია აქტივობებისა და ბენეფიციარების შესახებ ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის. შესაბამისად, გთხოვთ, არ მიუთითოთ ისეთი სენსიტიური ინფორმაცია, რომლის საჯაროდ გაზიარება დაუშვებელია. <p>(მაგალითები მოცემულია დანართში 1)</p>
AB-ის ტიპი	<ul style="list-style-type: none"> - აირჩიეთ მოცემული ჩამონათვალიდან ერთ-ერთი
პროექტის სახელწოდება	<ul style="list-style-type: none"> - თუ აქტივობას ან ბენეფიციარს პროექტის გვერდზე შესვლის შემდეგ შექმნით, პროექტის სახელწოდება ავტომატურად მიეთითება. - თუ აქტივობას ან ბენეფიციარს Activities & Beneficiaries მთავარი მენიუდან დაამატებთ, მაშინ პროექტის სახელწოდება უნდა მოძებნოთ ჩამოსაშლელ მენიუში.

<p>რეგიონი</p>	<ul style="list-style-type: none"> - ჩამოთვალეთ ყველა რეგიონი, სადაც მუშაობს პროექტი და სადაც ვრცელდება მისი ზეგავლენა.
<p>ადგილი</p>	<ul style="list-style-type: none"> - მიუთითეთ აქტივობის ან ბენეფიციარის კონკრეტული მისამართი/ადგილი. - ბენეფიციარის შემთხვევაში მიუთითეთ მხოლოდ ბენეფიციარის მისამართი. - ისეთი აქტივობის შემთხვევაში, რომელიც შესაძლებლობების განვითარებას/ტრენინგებს ეხება, შეიყვანეთ იმ ოფისის/დანესებულების/ორგანიზაციის ადგილმდებარეობა, რომლის წარმომადგენლებსაც ჩაუტარდათ ტრენინგი. - ზუსტი მისამართის მითითება შესაძლოა ვერ მოხერხდეს სოფლად ან მცირე დასახლებებში. ამ შემთხვევაში მიუთითეთ შეძლებისდაგვარად ზუსტი მისამართი. - რუკაზე მისამართების ძებნა სცადეთ როგორც ინგლისურად, ასევე ქართულად. მისამართები რუკაზე ხშირად სხვადასხვანაირადაა აღნიშნული და შესაბამისად, სხვადასხვა ვარიაციით ძიებას შესაძლოა ჰქონდეს შედეგი. თუ ლოკაცია ავტომატურად არ გამოჩნდა, შეგიძლიათ ხელით მონიშნოთ რუკაზე.
<p>ევროკავშირის გრანტის ოდენობა</p>	<ul style="list-style-type: none"> - თუ შესაძლებელია, მიუთითეთ კონკრეტული თანხა კონკრეტულ ბენეფიციარზე. - გაითვალისწინეთ, რომ თანხა უნდა მიეთითოს ევროში
<p>საკონტაქტო პირი</p>	<ul style="list-style-type: none"> - ბენეფიციარების შემთხვევაში: ორგანიზაციის ის წარმომადგენელი, რომელიც უშუალოდ არის ჩართული ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტში. - აქტივობის შემთხვევაში: პირი, რომელიც ხელმძღვანელობს ან ფლობს ყველაზე ამომწურავ ინფორმაციას კონკრეტული აქტივობის შესახებ (შეიძლება ეს იყოს პროექტის წარმომადგენელი ან აქტივობაში ჩართული ბენეფიციარი).
<p>ფოტოები</p>	<ul style="list-style-type: none"> - თითოეულ აქტივობასა თუ ბენეფიციარს უნდა ახლდეს სულ მცირე ერთი ფოტო. - სასურველია, თუ ფოტოზე რაიმე ფორმით გამოჩნდება ევროკავშირის ლოგო ან სხვა საინფორმაციო მასალა. - ფოტოების ატვირთვის შემდეგ სათითაოთ გახსენით და თითოეულ მათგანს ქვეშ მონიშნეთ „publish photos on the front-end“ [გამოაჩინეთ ფოტოსურათი ვებ-გვერდზე]. მხოლოდ ამ შემთხვევაში აისახება ფოტო EU4Georgia.Ge ვებ-გვერდზე. თუ თვლით, რომ ფოტო ფართო საზოგადოებამ არ უნდა ნახოს, მოხსენით შესაბამისი მონიშვნა (ან საერთოდ წაშალეთ). - თუ ფოტოზე ასახულია ერთი ან რამდენიმე ადამიანი, ფოტოს თან უნდა ახლდეს ამ ფოტოს გამოყენების ინფორმირებული თანხმობა. ამგვარი თანხმობის ატვირთვა შესაძლებელია PDF ფორმატში, ყველა ფოტოს ქვეშ. <u>შენიშვნა:</u> ინფორმირებული თანხმობის დოკუმენტზე წვდომა მხოლოდ EUDigitool-ის შიდა მომხმარებლებს ექნებათ (უშუალოდ პროექტის წარმომადგენლებს და ევროკავშირის ოფიციალურ პირებს). ის აუცილებელია მხოლოდ ევროკავშირის დელეგაციის შიდა პროცედურების დასაცავად. დარწმუნდით, რომ ფოტოზე აღბეჭდილი ადამიანები თანახმა არიან მის გამოყენებაზე.

	<ul style="list-style-type: none"> - თუ ამ დროისთვის არ გაქვთ თანხმობა რომელიმე ფოტოს გამოყენებაზე, გთხოვთ გამოსაქვეყნებლად მონიშნოთ მხოლოდ ისეთი ფოტოები, სადაც შეუძლებელია მასზე აღბეჭდილი ადამიანების ამოცნობა. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ორგანიზაციების ლოგოები, ბანერების, ანგარიშების და ა.შ. ფოტოები, ხოლო მომავალში შეძლებისდაგვარად ჩაანაცვლოთ უფრო საინტერესო ფოტომასალით.
<p>მასალები</p>	<ul style="list-style-type: none"> - თუ გაქვთ მასალები, რომლებიც მომზადდა ბენეფიციარების მიერ ან მათთვის, ან მომზადდა კონკრეტული აქტივობის ფარგლებში და განკუთვნილია ფართო საზოგადოებისთვის, გთხოვთ, ატვირთოთ შესაბამისი აქტივობისა თუ ბენეფიციარის ქვეშ. - საჯარო გამოყენებისთვის განკუთვნილი მასალები გამოქვეყნდება ევროკავშირის დელეგაციის მიერ www.eu4Georgia.eu ვებსაიტზე. თუ თქვენ გაქვთ ასეთი მასალები, გთხოვთ, შეატყობინოთ თქვენს საკონტაქტო პირს (reviewer).

მნიშვნელოვანი შესენება:

არ დაგავინწყდეთ შეყვანილი ინფორმაციის დამახსოვრება (მწვანე ღილაკი SAVE, გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეშია განთავსებული). ამით თავიდან აიცილებთ ინფორმაციის დაკარგვას.

ნაბიჯი 3: შეცვალეთ სტატუსი

მას შემდეგ, რაც შეავსებთ ყველა საჭირო ველს და ინფორმაციას, საჭიროა შეცვალოთ სტატუსი: „Created“ („შექმნილია“) ღილაკი შეცვალეთ „Ready for Review“-ით („მზადაა შემოწმებისათვის“).

კომუნიკაციის მასალების დამონშების პროცესის მსგავსად, თქვენი პროექტის საკონტაქტო პირი (reviewer) გადახედავს ინფორმაციას და მონიშნავს „Review Passed“ („შემოწმება დასრულებულია“) ან „Needs Improvement“ („საჭიროებს შესწორებას“). თუ მიიღებთ შეტყობინებას „Needs Improvement“ („საჭიროებს შესწორებას“), დაუკავშირდით თქვენი პროექტის საკონტაქტო პირს (reviewer) შემდგომი ნაბიჯებისთვის.

მას შემდეგ, რაც ინფორმაცია პირველად შემოწმებას გაივლის (Review Passed), იგი საბოლოო დამტკიცებისთვის გადაეგზავნება თქვენი პროექტის მენეჯერს ევროკავშირის დელეგაციაში. შეტყობინებას მიიღებთ თითოეული ამ ნაბიჯის შესახებ. თქვენგან რეაგირება საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი AB მონიშნება როგორც „Needs Improvement“ („საჭიროებს შესწორებას“).

Activities & Beneficiaries

Activities & Beneficiaries are locations where your project activities have had a concrete impact on the ground. Each location is a separate activities & beneficiaries.
 For example, if your project supports three consultation centres, you will need to add three activities in the ground for your project, one for each consultation centre.
 Please add all relevant information about each activities & beneficiaries including direct contacts and who benefits from the activities.



მას შემდეგ, რაც ყველა ინფორმაციას შეიყვანთ, არ დაგავინწყდეთ შეცვალოთ სტატუსი და მიუთითოთ Ready for Review

ნაბიჯი 4: შეატყობინე პრობლემის შესახებ და ითხოვე დახმარება

თუ არ ხართ დარწმუნებული, შეესაბამება თუ არა რომელიმე აქტივობა ან ბენეფიციარი აქ მოცემულ მითითებებს, ან გაქვთ/გყავთ ისეთი აქტივობა ან ბენეფიციარი, რომელიც განსხვავებულია ამ დოკუმენტში აღწერილი ნიმუშებისგან, გთხოვთ, ამის შესახებ აცნობოთ EU4Georgia პროექტის საკონტაქტო პირს (reviewer).

გარდა ამისა, თქვენს reviewer-ს მიმართეთ ნებისმიერი ტექნიკური საკითხის შესახებ ან ზოგადად, EUDigitool-თან დაკავშირებული კითხვების შემთხვევაში.

დანართი 1. აქტივობებისა და ბენეფიციარების მაგალითები

როგორც სახელიდანვე ჩანს, Activities & Beneficiaries სექციაში ან კონკრეტული აქტივობის, ან ბენეფიციარის შესახებ გვჭირდება ინფორმაცია. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე კონკრეტული მაგალითი, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ანეცო სტრუქტურა.

ბენეფიციარები:

შენიშვნა: მაგალითებიდან დაინახავთ, რომ უმეტეს შემთხვევაში ბენეფიციარების აღწერა მსვავს სტრუქტურას მიყვება: ბენეფიციარის აღწერა - ზოგადი კონტექსტი - ევროკავშირის მხარდაჭერის შედეგები/მიღწევები.

AB	მაგალითი
<p>შენობის / ინფრასტრუქტურის მონოცობა ან რეაბილიტაცია</p>	<p>26 მაისის სახელობის პარკის რეაბილიტაცია</p> <p>გორის მუნიციპალიტეტი ევროკავშირის მიერ "ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება მდგრადი ზრდისთვის" პროექტის ფარგლებში ქალაქ გორში არსებული "26 მაისის" სახელობის სკვერის რეაბილიტაციას ახორციელებს. ამ საქმიანობის მიზანია ტურისტებისათვის ნაკლებად ცნობილი ქალაქის ისტორიული ნაწილის ინფრასტრუქტურის განვითარება, მეტად პოპულარიზაცია და ტურისტული პოტენციალის ზრდა, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობისათვის დასვენებისა და კულტურული ღონისძიებების მოსაწყობად კიდევ ერთი ადგილის შექმნა.</p> <p>2019-2021 წლის განმავლობაში პარკის ტერიტორიაზე შემდეგი საქმიანობები ხორციელდება:</p> <ul style="list-style-type: none"> - მიმდინარეობს 230 კვ.მ არსებული შენობის რეაბილიტაცია. ეს შენობა ხელოვნების გამოფენებს, ადგილობრივ და საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებს უმასპინძლებს. - აიგო ახალი შენობა, (291.5 კვ.მ), სადაც ტურისტული საინფორმაციო ცენტრი, ბარგის შესანახი კამერები, სუვენირების მაღაზიები და სან. კვანძები მოეწყობა. იგივე შენობაში ბიზნეს საკონსულტაციო სერვისებიც განთავსდება, რომელიც ახალგაზრდებსა და მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს კონსულტაციას გაუწევს ბიზნესის წარმატებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. - მოხდა ცნობილი "ლომჭაბუკის" ძეგლის (ავტ. ზ. წერეთელი) აღდგენა-რესტავრაცია. - პარკის მთელ ტერიტორიაზე (8350 კვ.მ). მოეწყობა მწვანე საფარი, საირიგაციო სისტემა, განათება, სკამები და ბილიკები. <p>გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა ახორციელებს გორში მდებარე, 26 მაისის პარკის სახელით ცნობილი, დასასვენებელი პარკის მასიურ რეაბილიტაციას. აქტივობა „ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება მდგრადი ზრდისთვის“ მუნიციპალური პროექტის ეგიდით მიმდინარეობს. პროექტის მიზანია ტურისტებისთვის ნაკლებად ცნობილი ქალაქის ისტორიული უბნის გამოცოცხლება და პოპულარიზაცია. ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მეშვეობით, მუნიციპალიტეტის ხელისუფლება იმედოვნებს, რომ უბანი ტურისტებისთვის მიმზიდველი გახდება. გარდა ამისა, შეიქმნება სივრცე, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა შეძლებს კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას და დასვენებას.</p> <p>პროექტის მიმდინარეობის პერიოდში (2018-2021) სკვერის ტერიტორიაზე განხორციელდა რამდენიმე აქტივობა:</p> <ul style="list-style-type: none"> - არსებულ შენობას (230მ²) ჩაუტარდა რეაბილიტაცია, რის შედეგადაც შესაძლებელია გამოფენების, აგრეთვე ადგილობრივი და საერთაშორისო ღონის კულტურული ღონისძიებების ჩატარება;

- აშენდა ახალი ნაგებობა (291.5მ²), რომელშიც განთავსდება ტურისტული საინფორმაციო ცენტრი, ბიზნეს-საკონსულტაციო ცენტრი და საკონსულტაციო სერვისები ახალგაზრდებისა და აგრეთვე მცირე და საშუალო მენარმეებისთვის. იმავე შენობაში განთავსდება ბარგის შესანახი სერვისი, საზოგადოებრივი ტუალეტები და გაიყიდება სუვენირები;
- პირვანდელი იერსახე დაუბრუნდა „ლომჭაბუკის“ ქანდაკებას (ავტორი: ზურაბ წერეთელი);
- სკვერში მოეწყო მწვანე საფარი, დამონტაჟდა სარწყავი სისტემა, გარე განათება, სკამები და მოეწყო ქვაფენილი (8350 მ²)

ქვეგრანტიორი (არასამთავრობო თუ სამოქალაქო ორგანიზაცია), რომელმაც მიიღო დაფინანსება

ასოციაცია “ილი”

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივის ფარგლებში მისი განმხორციელებელი პარტნიორის, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ გაიყა მცირე გრანტები, რომლის დანიშნულებაც სათემო ორგანიზაციების ანგვარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ზრდა და ასევე მათი საქმიანობის საზოგადოებასთვის გაცნობა იყო. 2018-2019 წლებში საშუალოდ 4,000 ლარის ოდენობის გრანტი 30-მა სათემო ორგანიზაციამ მიიღო.

ასოციაცია „ილი“ პირველი ორგანიზაციაა სამეგრელოს რეგიონში, რომელიც სმენადაქვეითებული ბავშვების მშობლების მიერ დაარსდა. ორგანიზაციის მიზანია ხელი შეუწყოს სმენადაქვეითებულ ბავშვებსა და მათ მშობლებს, მიანოდოს მათ ინფორმაცია და ასევე ხელი შეუწყოს ბავშვების მიმართ არსებული სტიგმისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივის ფარგლებში მიღებული მცირე გრანტი რეგიონში სმენადაქვეითებული ბავშვების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების ჩამოყალიბების ხელშეწყობასა და ცნობადობის გაზრდას ემსახურებოდა. პროექტის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა, მათ შორის, საინფორმაციო კამპანია, შეხვედრები მოსახლეობასთან, კვლევა(ფოკუს-ჯგუფები), საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება-გავრცელება და სხვ. გარდა ამისა, პროექტის შესახებ მომზადდა რადიო გადაცემა და ვიდეორგოლი.

ორგანიზაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ:

<https://www.facebook.com/ასოციაცია-ილი-Association-ILI-628349034262169/>
<https://www.facebook.com/ასოციაცია-ილი-Association-ILI-628349034262169/>

ქვეგრანტიორი (ფერმერი, კოოპერატივი, მენარმე), რომელმაც მიიღო დაფინანსება

ქედას მარანი

მელვინეობა ქედას მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. ადგილობრივები წლებია მუშაობენ ამ დარგის განვითარებაზე. რეგში თურმანიძე ერთ-ერთი იმათგანია, ვინც მრავალი წელია ვენახს (ჩხავერი) უვლის.

ევროკავშირის მხარდაჭერით, რეგშიმ საყვარელი საქმე ბიზნესად აქცია, გაათართოვა ვენახი და ახლა ჩხავერი 1500 მ²-ის ფართობზე მოჰყავს. მელვინე საკუთარ მოსავალს ღვინის ადგილობრივ მწარმოებლებზე ყიდის. მისი მთავარი მიზანი ვაზის კულტურისა და მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პონტენციალის განვითარებაა. იგი კვლავ ფიქრობს წარმოების გაართოებასა და დარგის განვითარების ინოვაციური გზების დანერგვაზე.

პროექტის განხორციელების შედეგად დასაქმდება 5 ადამიანი.

რეგშიმ მხარდაჭერა წარმოადგინს ევროკავშირის სათემო მობილიზაციის პროექტის ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავს სოფლად ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას ადგილობრივი აქტორების „ადგილობრივ განვითარების ჯგუფებში“ (LAG) გაერთიანების მეშვეობით. ადგილობრივი განვითარების ჯგუფები განსაზღვრავენ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაში, ხოლო მცირე გრანტები სტრატეგიის ამოცანების მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა. პროექტის

	<p>„ადგილობრივი პოტენციალის ოპტიმიზაცია სოფლის განვითარებისთვის ქედის მუნიციპალიტეტში“ ფარგლებში 2017-2021 წლებში მცირე გრანტები გამოიყო.</p>
<p>ფერმერები / კოოპერატივები, რომლებიც სადემონსტრაციო ნაკვეთებს აწყობენ, როგორც პროექტის ერთ-ერთ აქტივობას</p>	<p>სადემონსტრაციო ნაკვეთი „შირაქი“</p> <p>სადემონსტრაციო ნაკვეთი „შირაქი“ სოფ. არხილოსკალოში (კახეთი) 2020 წელს მოეწყო. პროექტმა საფრანგეთიდან ჩამოიტანა შერეული საფარის კულტურები და ტრიტიკალი, რომლის მიზანიც ცხოველების საკვების რაციონის გაუმჯობესება და შესაბამისად, ფურის პროდუქტიულობის გაზრდა იყო. გარდა ამისა, ეს ხელს უწყობს კონსერვაციის მეურნეობის განვითარებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის.</p> <p>ეს სადემონსტრაციო ნაკვეთი FinExCoop საქართველოს პროექტის ფარგლებში მოეწყო, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა რეგიონში პერსპექტიული საპილოტე პროექტები გამოვლინდა მეცხოველეობა-მერძეეობის სექტორში და დაიწყო ინტენსიურად მუშაობა. საპილოტე ნაკვეთები უკვე არსებული ფერმერული მეურნეობების ბაზაზე ეწყობა, რაც ადგილობრივ ფერმერებს საშუალებას აძლევს გაეცნონ თანამედროვე ტექნოლოგიებს. პროექტის საწყის ეტაპზე საფრანგეთიდან ჩამოტანილი სათესლე მასალა ადგილობრივ ფერმერებთან ერთად დაითესა და მოსავლის აღებასაც არაერთი ფერმერი, საერთაშორისო და ადგილობრივი მომწოდებელი ესწრებოდა.</p> <p>სადემონსტრაციო ნაკვეთზე ფერმერებმა და საწარმოო საშუალებების მომწოდებლებმა იხილეს ახალი ტექნოლოგიით და ახალი კულტურებით მიღებული შედეგი, რაც ხელს უწყობს და უფრო აუმჯობესებს საქონლის კვების რაციონს, ხდის მას უფრო უფრო პროდუქტიულს.</p>
<p>„ადგილობრივი განვითარების ჯგუფი“, როგორც პროექტის ნაწილი</p>	<p>თეთრინყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG)</p> <p>თეთრინყაროს განვითარების ჯგუფი არის პლატფორმა, რომელიც აერთიანებს სამოქალაქო, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებს და თეთრინყაროს მუნიციპალიტეტის განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. თეთრინყაროს LAG-ი 2017 წლის აგვისტოში, ევროკავშირის „ლიდერ“ მიდგომაზე დაყრდნობით შეიქმნა და 107 წევრისგან დაკომპლექტდა. თეთრინყაროს LAG-ი წევრობაზე დამყარებული ორგანიზაციაა, მისი წევრები არიან სხვადასხვა რელიგიური თუ ეთნიკური უმცირესობები, ასევე, თეთრინყაროში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები და ეკომიგრანტები. აღსანიშნავია, რომ LAG-ის წევრთა 43%-ს ქალები წარმოადგენენ.</p> <p>2018 წელს თეთრინყაროს განვითარების ჯგუფმა შეიმუშავა თეთრინყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2018-2022 წლებისთვის. სტრატეგიის შეიმუშავების პროცესში აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი მოსახლეობაც.</p> <p>გარდა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შეიმუშავებისა, რომლის საფუძველზეც განხორციელდა სოფლის განვითარების მხარდაჭერის საგრანტო კონკურსის სამი ფაზა, თეთრინყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი აქტიურად მუშაობს მუნიციპალიტეტისთვის დამატებითი შესაძლებლობების მოძიებაზე.</p> <p>მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოებისა და თეთრინყაროს განვითარების ჯგუფის (LAG) ბაზაზე შეიქმნა DCFTA-ს (ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი საგაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება) საინფორმაციო რესურს-მაგიდა. DCFTA რესურს-მაგიდა მიზნად ისახავს, დაეხმაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მცირე და საშუალო ბიზნესის მენარმეებს DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტირებაში, რაც შემდგომში გაუმარტივებთ მათ პროდუქციის გატანას ევროპაში. ამ ეტაპამდე, 583 ადგილობრივ მენარმეს (მათ შორის 17% ქალი) გაეწია კონსულტაცია აღნიშნულ საკითხებზე.</p> <p>ამჟამად, თეთრინყაროს განვითარების ჯგუფი აქტიურადაა ჩართული ახალი კორონავირუსის (Covid-19) გავრცელების წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიაში.</p>

მოსახლეობას ინფორმაცია სამ ენაზე, ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად მიეწოდება. ასევე, ასოციაციასთან სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) და თეთრინყაროს მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით, ახორციელებს რესურსების მოძიებას საკვების გარეშე დარჩენილი ადამიანებისა და სკოლის მოსწავლეებისთვის, რომლებსაც არ აქვთ საშუალება გაკვეთილებს ელექტრონულად დაესწრონ. თეთრინყაროს ლაგი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ევროპულ ლაგებთან და ლაგების ასოციაციებთან, ასევე ახორციელებს ტრანსნაციონალურ პროექტებს ლიეტუვის, ლატვიისა და საქართველოს ლაგებთან თანამშრომლობით.

დანესებულება, რომელმაც მიიღო შესაძლებლობების განვითარების დახმარება, რის შედეგად შეუძლია უკეთესი სერვისების მიწოდება

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროექტი დახმარებას გაუწევს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის, სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემდგომ განვითარებაში. პოლიტიკის გარდა, ტექნიკური მხარდაჭერა ფოკუსირებულია ახლადდაარსებული დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს შესაძლებლობების განვითარებასა და მისი მომსახურების შესახებ ცნობადობის გაზრდაზე პოტენციური მომხმარებლებისთვის - დამსაქმებლები, სამუშაოს მაძიებლები და ფართო საზოგადოება.

მხარდაჭერა გულისხმობს:

- ახალი მომსახურების მოდელის გადახედვასა და გაუმჯობესებას
- დამსაქმებლებთან კავშირების გაძლიერებას და მომსახურების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, კარიერულ დაგეგმვას/რჩევების მიწოდებას სამუშაოს მაძიებელთათვის
- აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის მახასიათებლების გაუმჯობესებას და ხელმისაწვდომობის გაზრდას, პროფესიულ ტრენინგსა და გადამზადებას, საჯარო სამუშაო ინიციატივების შემუშავებას.

ინსტიტუტები, რომლებიც ტვინინგის პროექტების მთავარი ბენეფიციარები არიან

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეგიდით მომუშავე ორგანიზაციაა. იგი ხელს უწყობს ქვეყანაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის განვითარებას, საქართველოს, როგორც მსოფლიო კლასის კვლევით და განვითარებაზე ორიენტირებული ქვეყნად წარმოჩენას, საქართველოს კვლევითი ინსტიტუტების განვითარებას, კომპეტენტური სამეცნიერო მუშაკების ჩამოყალიბებას და მეცნიერებისა და ტექნოლოგიის მიმართ უფრო პოზიტიური განწყობას.

ფონდი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ინსტიტუციური დაძმობილების პროექტის მთავარი ბენეფიციარია. იგი პარტნიორი ორგანიზაციიდან შესაბამის მხარდაჭერას და ექსპერტიზას იღებს, რათა უკეთ მოხდეს ზემოთაღნიშნული საკითხების მოგვარება და მეცნიერებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების სწორი განვითარება. პროექტი აძლიერებს ორგანიზაციულ შესაძლებლობებს, ხელს უწყობს მეცნიერების მართვის ახლებურ ხედვას, სადაც განსაკუთრებული ყურადღება სამეცნიერო თანამშრომლობის შესაძლებლობების შესახებ ცოდნის მიღებას ექცევა.

პროექტი ფონდს ეხმარება შეგროვებული მონაცემების მიხედვით გამოავლინოს მეცნიერებისთვის პრიორიტეტული დარგები. ხდება გამოცდილების გაზიარება და დიალოგის ხელშეწყობა სხვადასხვა მხარეებს შორის. პროექტის მეშვეობით ფონდი ასევე ცდილობს ხელი შეუწყოს ეროვნული და საერთაშორისო შეთანხმებების განხორციელებას, რაც ქართველი მეცნიერების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის საშუალებას იძლევა.

პროექტის ფარგლებში დაარსებული ან მხარდაჭერილი საინფორმაციო ცენტრი

ბაკურიანის სათემო ცენტრი

ბაკურიანის სათემო ცენტრი ერთ-ერთია საქართველოს მასშტაბით გახსნილ 80 სათემო ცენტრს შორის. ბაკურიანის საზოგადოებრივი ცენტრის გახსნით ადგილობრივი და მიმდებარე სოფლების მოსახლეობას (2 120 ადამიანი) საშუალება აქვს სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს 200-ზე მეტი საჯარო და კერძო სექტორის სერვისით. საზოგადოებრივი ცენტრის მომხმარებლებს შეუძლიათ ისარგებლონ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს ეროვნული არქივის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სოციალური მომსახურების სააგენტოს და შპს სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიის მომსახურებით, ცენტრში ასევე წარმოდგენილი არიან კერძო კომპანიები: „მაგთიკომი“ და „ლიბერთი ბანკი“.

საზოგადოებრივი ცენტრი არის თანამედროვე ინფრასტრუქტურით და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სივრცე. ცენტრში დასაქმებულები არიან საგანგებოდ შერჩეული და გადამზადებული ადგილობრივი კადრები, რომლებიც ელექტრონული მმართველობის საშუალებით გასცემენ ცენტრალური ხელისუფლების და კერძო სექტორის სერვისებს. ცენტრში განთავსებულია მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის ოფისი და გამოყოფილია სპეციალური სივრცე სამოქალაქო ჩართულობის ხელშესაწყობად. მოქალაქეთათვის ასევე ხელმისაწვდომია უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები, ვიდეო კონფერენციის აპარატურა და თანამედროვე ელექტრონული ბიბლიოთეკა.

სერვისებზე წვდომის გარდა, ცენტრებს ეკისრებათ მედიატორის როლი მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის. ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას, ასევე სამოქალაქო სექტორს საშუალება აქვს საზოგადოებრივი ცენტრი გამოიყენოს ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციის წარსამართად, მათთვის ახალი სერვისების, ინიციატივების, საკანონმდებლო ცვლილებების გასაცნობად და მოსახლეობის ინფორმირებულობის ასამაღლებელი ღონისძიებების ჩასატარებლად.

ევროკავშირი ეხმარება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, რათა საქართველოს რეგიონებში მაცხოვრებელი მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი იყოს სახელმწიფო სერვისები და საჯარო ინფორმაცია. ამ მიზნის მისაღწევად არაერთი სათემო ცენტრი შეიქმნა.

ცენტრი, რომელიც სერვისებს სხვადასხვა ჯგუფებს სთავაზობს

თოლისკური - თანასწორობა გვჭირდება

განათლებისა და განვითარების ცენტრი თოლისკური ხობის მუნიციპალიტეტში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციაა. იგი მრავალფეროვან საგანმანათლებლო და კულტურულ სერვისებს სთავაზობს სოფლად მცხოვრებ ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს და ასევე ახორციელებს ადვოკატირების კამპანიებსაც. ცენტრი მუშაობს ქალების, ახალგაზრდა გოგონების, შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და სხვადასხვა სამოქალაქო სტატუსის მქონე ადამიანების უფლებების დაცვის მიმართულებით და მხარს უჭერს ადგილობრივ მოსახლეობას შემოსავლის გენერირების აქტივობების კუთხითაც.

ევროკავშირისგან მიღებული გრანტის ფარგლებში, თოლისკურმა ქალაქ ხობში 2019 წელს გახსნა დღის ცენტრი 6-და 18 წლამდე ასაკის შებლუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის. დღის ცენტრი ბავშვებისთვის ახორციელებს განვითარებისკენ მიმართულ სხვადასხვა აქტივობებს და ეხმარება მათ თემისა და სასკოლო სისტემაში ინტეგრირებისთვის მზადებაში. ბავშვებისთვის შეთავაზებული ინდივიდუალური დახმარება გულისხმობს თიზიკურ და არაფორმალური განათლების აქტივობებს, რის შედეგადაც ბავშვებს უადვილდებათ ფორმალური განათლების სისტემაში ჩართვა და უფრო წარმატებულები ხდებიან. ცენტრი ასევე უზრუნველყოფს ტრანსპორტირების სერვისებსა და კვებას ბენეფიციარებისთვის.

განათლებისა და განვითარების ცენტრი თოლისკური საქართველოს რვა მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა მონწყვლადი ჯგუფების დასახმარებლად გამოყოფილი მცირე გრანტების (რვიდან ერთ-ერთი) ბენეფიციარია. გრანტები გაიცა პროექტის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაცაა „თანაბარი შესაძლებლობები შებენიერი შესაძლებლობის მქონე პირთათვის: საქართველოს სოფლებში სოციალური სერვისების პროვაიდერების მხარდაჭერა“. სულ რვა ასეთი გრანტი (საერთო ბიუჯეტი: 340.000 ლარი) გაიცა ადგილობრივ ორგანიზაციებზე.

ორგანიზაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.:

<https://www.facebook.com/Toliskuri/>

მუნიციპალიტეტები / ქალაქები / დაბები, რომლებიც პროექტის მხარდაჭერით სარგებლობენ

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

ამბროლაური ერთ-ერთია იმ 63 მუნიციპალიტეტთაგანია, რომელიც სარგებლობს ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი რეგიონული ინიციატივებით, რომლის მიზანიც ინკლუზიისა და ადგილობრივ დონეზე გადამწყვეტილების მიღების პროცესში ქვემოდან ზემოთ მიმართული მიდგომის დანერგვას ითვალისწინებს. ამჯერად მხარდაჭერა ხორციელდება პროექტის „ეფექტიანობისა და განვითარების ქსელი“ ფარგლებში. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა (მერი, მერის მოადგილე, საკრებულოს წევრები, სამსახურების ხელმძღვანელები) ადგილობრივმა აქტიურმა ჯგუფებმა და თემის ლიდერებმა, ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავების პროცესთან დაკავშირებული ცოდნის და უნარების, მომსახურების მიწოდების ხარისხის გაზრდის მიზნით, თემზე დაფუძნებული ადგილობრივი განვითარების (CLLD) საკითხებისადმი მიძღვნილ სამდღიანი ტრენინგების კურსში მიიღეს მონაწილეობა; ასევე, მონაწილეობა მიიღეს საკონსულტაციო შეხვედრებში, უკეთესი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის ადვოკატირებისთვის; რეგიონალურ კონფერენციებში; სპეციალური PMES პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისა და; მუნიციპალიტეტებს შორის გამოცდილებისა და კარგი პრაქტიკის გაცვლის ეროვნული პლატფორმის შექმნის პროცესში.

შედეგად, გაზრდილია ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობები მონაწილეობითი მართვის და ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით; განახლებულია მუნიციპალური პოლიტიკის დოკუმენტები (მათ შორის, განვითარების სტრატეგიების, თემზე დაფუძნებული ადგილობრივი განვითარების (CLLD) მეთოდოლოგიის, მონაწილეობითი პროცესის წახალისების და ა.შ.). PMES (საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების) სისტემა, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, მალე ინსტიტუციონალიზდება. ორგანიზაციული საქმიანობის მართვის ეს ინსტრუმენტი მმართველ რგოლებს განეული მომსახურებების შეფასების, მაკორექტირებელი ზომების დროული მიღების, სამომავლოდ სამოქმედო პრიორიტეტების განსაზღვრის შესაძლებლობას აძლევს. ინკლუზიური და მდგრადი ადგილობრივი განვითარების სფეროში გამოცდილება და ცოდნა გაზიარებულია ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი და ვიცე-მერი დაესწრნენ ორ ეროვნულ კონფერენციას BPP- ს შესახებ. ასევე, „მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების“ თემატური ჯგუფის შეხვედრას. შექმნილია და მუნიციპალიტეტების გამოცდილებისა და კარგი პრაქტიკის გაზიარებისთვის გამოიყენება კარგი პრაქტიკის (BP) სპეციალური ვებ-პორტალი. ყოველივე ზემოაღნიშნული აისახა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის (10 600 ადამიანი) უკეთესი ხარისხის სერვისების მიწოდებაზე.

აქტივობები:

AB	მაგალითები
<p>ფართომასშტაბიანი საჯარო ღონისძიება / კონფერენცია / ფესტივალი / კულტურული ღონისძიება</p>	<p>მოხალისეობის წახალისება მოხალისეობის ფორუმების მეშვეობით</p> <p>საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა, მისი განმახორციელებელი პარტნიორის, განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის დახმარებით მუშაობს მოხალისეობის კულტურის განვითარებაზე, როგორც მოქალაქეებში, ასევე დამსაქმებლებში.</p> <p>გარდა მრავალფეროვანი მასალების მომზადებისა და საინფორმაციო კამპანიების განხორციელებისა, მოხალისეობის კულტურის ხელშეწყობის ყველაზე ეფექტურ გზად მოხალისეობის ფორუმები ჩამოყალიბდა. პროექტის განმავლობაში, ბოლო 3 წელიწადში განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრმა ადგილობრივ ჰაბ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მოხალისეობის 23 ეროვნულ და რეგიონულ ფორუმს უმასპინძლა თბილისსა და საქართველოს 10 რეგიონში.</p> <p>ფორუმებზე, მოხალისეების მასშტაბით დაინტერესებულ ორგანიზაციებს საშუალება ეძლევათ პირდაპირი კავშირი დაამყარონ მოხალისეობით დაინტერესებულ ახალგაზრდებთან და გაიზიარონ თავიანთი კოლეგების წარმატებული გამოცდილება.</p> <p>საერთო ჯამში ფორუმების შედეგად 470 ორგანიზაციამ გამოთქვა მზაობა მოხალისეებთან თანამშრომლობისა, რეგისტრაცია გაიარა 1570 მოხალისეობის მსურველმა, ხოლო საკუთარი უნარების, ცოდნისა და გამოცდილების განვითარებისთვის პირველი ნაბიჯები გადადგა 317-მა მოხალისემ.</p>
<p>პროექტის ფარგლებში ფართომასშტაბიანი შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებები</p>	<p>შესაძლებლობების განვითარება ქალების შრომითი უფლებების შესახებ</p> <p>ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „თანასწორი, ინკლუზიური და უსაფრთხო სამუშაო გარემო საქართველოში“ პროექტის ფარგლებში ქალთა შრომითი უფლებების შესახებ ფართომასშტაბიანი ტრენინგები განხორციელდა. 2020 წლის განმავლობაში ტრენინგების სერია ჩატარდა აჭარის, იმერეთის, ქვემო ქართლისა და თბილისის უფლებადამცველებისთვის.</p> <p>თავდაპირველად, 17 იურისტი და ქალთა უფლებადამცველი ესწრებოდა ქალთა შრომითი უფლებების შესახებ გამართულ ტრენინგს, რომელსაც უცხოელი და ქართველი ექსპერტები უძღვებოდნენ.</p> <p>მონაწილეებმა მრავალ თემაზე მიიღეს ინფორმაცია: შრომითი უფლებების საფუძვლები, შრომითი ურთიერთობების მხარეები, წინასახელშეკრულებო ურთიერთობები, შრომითი ხელშეკრულებები (ვადები, ფორმა, პირობები), შინაგანაწესი, სამუშაო დრო და ზეგანაკვეთური შრომა, დისკრიმინაცია დასაქმებისას, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ისტორია, სტრუქტურა და მანტალი), გენდერული თანასწორობა როგორც შსო-ს მთავარი პრიორიტეტი, შსო-ს ანგარიშები საქართველოს შესახებ, სექსუალური შევიწროება და ძალადობა დასაქმების ადგილზე, ანაზღაურებადი და არაანაზღაურებადი შვებულება, “დეკრეტული” შვებულება, შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა და შეჩერება, მასობრივი დათხოვნა, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება დასაქმების ადგილზე - ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები, სოციალური დიალოგი, შრომითი დავეები, მედიაცია, გაფიცვის უფლება, პროტესტების ჩარევა, გენდერული სახელფასო სხვაობა, ზრუნვის ეკონომიკა, გენდერული ნიშნით სეგრეგაცია შრომის ბაზარზე, პირადი მონაცემების დაცვა საქმიან ურთიერთობებში, ევროკავშირთან ასოციაციის ხელშეკრულება და შრომითი სტანდარტები, ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა დასაქმების ადგილზე.</p> <p>2020 წლის ივლისიდან მომზადებულმა ტრენინგებმა უკვე ადგილობრივ ჯგუფებთან მუშაობა დაიწყეს და ტრენინგებს უკვე თავად ატარებენ იმერეთსა და ქვემო</p>

	<p>ქართლში. ამ პროცესში ისინი ქალთა შრომით უფლებებზე ტრენერთა სახელმძღვანელოს იყენებენ.</p> <p>ტრენინგების სერიის დასრულებისას ქალთა ფონდი საქართველოში მცირე საგრანტო კონკურსსაც აცხადებს, სადაც ჩართვა პროექტის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგების მონაწილეებს შეუძლიათ. ამ მცირე საგრანტო პროექტების მიზანი ადგილობრივ დონეზე ქალთა შრომითი უფლებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაა.</p>
<p>ახალი კანონები / რეგულაციები, რომლებიც პროექტის მიერ შეიქმნა / დამუშავდა სხვადასხვა რეფორმების მხარდასაჭერად</p>	<p>საბანკო და საგადახლო სექტორების გაუმჯობესებული საკანონმდებლო ბაზა</p> <p>2019-2020 წლების განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკი, პოლონეთის ფინანსური საზღვარგარეთო ორგანოს ექსპერტთა - UKNF (პოლონეთის და ლიეტუვის ცენტრალური ბანკებისა და პოლონური ბანკის საგარანტიო ფონდის თანხმობით) მჭიდროდ თანამშრომლობენ, რათა საქართველოს საბანკო და საგადახლო სექტორი შესაბამისობაში მოვიდეს ევროკავშირის სტანდარტებთან, როგორც ეს გათვალისწინებულია ასოციაციის შეთანხმებაში. ამგვარი თანამშრომლობა ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ინსტიტუციური დაძმობილების, "საქართველოს ეროვნული ბანკის შესაძლებლობების გაძლიერება საბანკო და საგადახლო მომსახურების სფეროში ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად" პროექტის ფარგლებში.</p> <p>პროექტი ხელს უწყობს ეროვნულ ბანკს საბანკო და საგადახლო მომსახურების სფეროებში ევროკავშირისა და საქართველოს კანონმდებლობას შორის ხარვეზების აღმოფხვრასა და ადგილობრივი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან აპროქსიმაციაში.</p> <p>პოლონელი და ლიეტუელი ექსპერტები იკვლევენ საქართველოში საბანკო სექტორისა და საგადახლო მომსახურების მარეგულირებელი კანონების პროექტებს და შეიმუშავებენ მოქმედ ჩარჩოში შესწორებებს, შენიშვნებსა და წინადადებებს, საკუთარ გამოცდილებასა და პოლონეთსა და ლიეტუაში მიღებულ საუკეთესო გადანაცვლებებზე დაყრდნობით.</p> <p>2021 წელს ტვინინგის პროექტის დასრულების შემდეგ მოსალოდნელი შედეგები იქნება ევროკავშირის დებულებებთან დაახლოებული საქართველოს კანონმდებლობა, ეროვნული ბანკის გაუმჯობესებული ფინანსური ზედამხედველობის მექანიზმები და გაძლიერებული ინსტიტუციონალური შესაძლებლობები საბანკო და საგადახლო მომსახურების სფეროში.</p> <p>ევროკავშირის კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან შესაბამისი საქართველოს უკეთესი კანონმდებლობა, მეთოდოლოგია და ზედამხედველობის ჩარჩო უზრუნველყოფს საზღვარგარეთო უფლებამოსილების უფრო ეფექტურ და უსაფრთხო გამოყენებას საბანკო და საგადახლო მომსახურების ბენეფიციარების უკეთესად დასაცავად და საქართველოში ფინანსური ბაზრის განვითარების ხელშესაწყობად. შედეგად, კარგად ფუნქციონირებადი ფინანსური ბაზრები საქართველოში ხელს შეუწყობს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას, ასევე საბანკო და საგადახლო მომსახურების ბაზრის მონაწილეების მთლიან უსაფრთხოებას და სტაბილურობას.</p>
<p>ეროვნული დონის კამპანიები</p>	<p>„ეს ქვეყანა შენია“</p> <p>კამპანია „ეს ქვეყანა შენია“ (გაიზიარე პასუხისმგებლობა) მრავალმხრივი, ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე კამპანიაა, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივის პარტნიორები ახორციელებენ. მისი დანიშნულებაა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, სამოქალაქო ღირებულებების გახმოვანება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მათი საქმიანობის შესახებ.</p> <p>კამპანია დაფუძნებულია სამოქალაქო ორგანიზაციების მიმართ მოსახლეობის განწყობისა და არსებული სტერეოტიპების კვლევის შედეგებზე. კამპანიის ძირითად</p>

	<p>საყრდენს სტუდენტები, ახალგაზრდები, სამოქალაქო განათლების მასწავლებლები და მედია წარმომადგენს. კამპანიის სტრატეგიაში ასევე აღწერილია კონკრეტული ქცევითი ცვლილებები თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის. კამპანია ძირითადად შემდეგ არხებს იყენებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - ცენტრალური და რეგიონული მედია - სოციალური მედია - ნაბეჭდი მასალები ბიბლიოთეკებისთვის, უნივერსიტეტების, მასწავლებლების და მოსწავლეებისთვის - მოკლე კურსები ახალგაზრდებისთვის - კონკურსები ჟურნალისტებისა და ბლოგერებისთვის - სოციალური ვიდეო კლიპები, საგანმანათლებლო და კამპანიის პრომო მასალები. <p>მთლიანობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით კამპანიაში ჩართულია საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელი და 400 სამოქალაქო აქტივისტი, სამოქალაქო განათლების 400 პედაგოგი, 100 ჟურნალისტი/მედიის წარმომადგენელი, 1000-ზე მეტი ახალგაზრდა (უფროსკლასელი/სტუდენტი).</p> <p>პროექტის ფარგლებში არაერთი შეხვედრა და აქტივობა იმართება. აღსანიშნავია შეხვედრები ახალგაზრდებთან და მასწავლებლებთან, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ტარდება და მის დანიშნულებას უკეთესი ინფორმირება და სამოქალაქო ინიციატივების წახალისება წარმოადგენს.</p>
<p>პროექტის მიერ მხარდაჭერილი ან მის ფარგლებში შექმნილი ქსელები და ალიანსები</p>	<p>საქართველოში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის რეფორმის ალიანსი</p> <p>ალიანსი 26 ქართულ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს და მათი საერთო მიზანია დადებითი ზეგავლენა მოახდინონ საქართველოში მიმდინარე პენიტენციურ და პრობაციის სფეროში მიმდინარე რეფორმებზე და რეფორმების ხელშეწყობა პოლიტიკაზე.</p> <p>ალიანსი საქართველოს ეროვნული დონის პლატფორმას წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის და ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების როლის გაძლიერებას პენიტენციურ და პრობაციის სფეროში პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით.</p> <p>ალიანსი 2013 წელს დაარსდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ინიციატივის ფარგლებში, ხოლო მისი შესაძლებლობები კიდევ უფრო გაფართოვდა „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის რეფორმების ხელშეწყობა და მონიტორინგი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით“ პროექტის ფარგლებში. პროექტის განმავლობაში ალიანსი ჩაერთო ისეთ საქმიანობაში, როგორცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> - პოლიტიკის ერთობლივი ადვოკატირება და ლობირება; სამოქალაქო საზოგადოების ხმისა და პოტენციალის განვითარება ერთობლივი ქმედებებისათვის; - დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგი; - ხელშეწყობი პოლიტიკის განხორციელების პროცესების მონიტორინგი და შეფასება; - კვალიფიკაციის ამაღლების საქმიანობა; - საკვანძო საკითხების ანალიზის და სისხლის სამართლის პოლიტიკის/კანონმდებლობის პროგრესის კვლევა; - სისხლის სამართლის რეფორმის პროცესის მნიშვნელობისა და საკვანძო საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა. <p>ალიანსის საქმიანობის შესახებ ინფორმაციისთვის იხ. ბმული: https://www.facebook.com/pages/category/Non-Governmental-Organization--NGO-/Alliance-for-Penal-and-Probation-Reforms-of-Georgia-363056613830807/</p>